ხელშეკრულება № 43
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის
განხორციელების შესახებ
(CPV – 31158000)

თბილისი **21 თებერვალი 2018 წ**

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი", (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით და მეორე მხრივ, შპს „ეფლ ჰოუმ" (შემდგომში – „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის შოთა სამხარაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისათვის" ლეპტოპის დამტენის მიწოდებას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **150,00** (ას ორმოცდაათი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3. საქონლის სახეობა და მიწოდების პირობები

3.1. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „შემსყიდველის" კუთვნილებაში არსებული ლეპტოპის (Macbook) დამტენის მიწოდებას ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 კალენდარულ დღის განმავლობაში, მისამართზე თბილისი: ივ. მაჩაბლის №13.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. "მიმწოდებელი" ფაქტიურად მოწოდებული საქონლის თაობაზე "შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს (ანგარიშ-ფაქტურა; სასაქონლო ზედნადები; ინვოისი) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.

4.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში.

4.4. დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე "შემსყიდველის" მიერ იმ საქონლის მიღება, რომელიც უნდა მოაწოდოს "მიმწოდებელმა" ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

5.3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველის" მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. მხარეთა უფლებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად.

ბ) დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

11.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 10 აპრილის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან'', ერთი ეგზემპლარი -,,შემსყიდველთან''.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

სსიპ „მწერალთა სახლი"
ს/კ 205 299 005
მის: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის ქ. №13
ტელ: 2 97 41 01, 2 97 41 02

<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>

სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
სახაზინო კოდი 33 02 01 26

დირექტორ-მენეჯერი:

ნატალია ლომოური

,,მიმწოდებელი"

შპს „ეფლ ჰოუმ"
ს/კ 400185385
მის: თბილისი, ჭავჭავაძის ქ.11
ტელ: 597535393

<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>

ს.ს. ,,თიბისი ბანკი"
TBCBGE22
GE20TB7223036020100001

დირექტორი

შოთა სამხარაძე